საქართველო, ქ. თბილისი
შ.პ.ს. „მონოლითი“
202242233
თევდორე მღვდლის ქ. №5

GEORGIA, TBILISI
„MONOLITI“ L.T.D.
202242233
5 TEVDORE MGVDELI STR.

№109/13 „07“ დეკემბერი 2013 წ.

შ.პ.ს. ”თბილისი 94”-ს დირექტორს
ბატონ დავით ვასაძეს.

ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ქეთევან წამებულის ქუჩა №91ა-ში არსებული მიწის ნაკვეთების მფლობელები არიან შ.პ.ს. ”თბილისი 94” და კერძო პირი მანია ბერიაშვილი. თანახმად სამეწარმეო რეესტრიდან ამონაწერისა, რომლის რეგისტრაციის თარიღია 30.08.1996წ. საიდენტიფიკაციო კოდი 206051323 უძრავი ქონება (მიწის ნაკვეთი) წილობრივად განაწილებულია შემდეგნაირად:
- ქ. თბილისი. ქეთევან წამებულის ქუჩა №91ა, მიწის ნაკვეთის საერთო ფართობია A=273.00მ^2. მასზე განთავსებულია შენობა-ნაგებობები. იგი შედგება ორი ნაკვეთისაგან №1; A=122.00მ^2; №2; A=151.00მ^2; (იხილეთ მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზი, შესრულებული შ.პ.ს. ”პრივატტექსერვისი”-ს მიერ. 08.12.2012წ.). შენობა-ნაგებობების საერთო ფართობია A=186.78მ^2, საიდანაც A=63.82მ^2 ეკუთვნის მოქალაქე მანია ბერიაშვილს, ხოლო A=122.96მ^2; წარმოადგენს შ.პ.ს. ”თბილისი 94”-ს საკუთრებას.
ამჟამად შ.პ.ს. ”თბილისი 94” აშენებს ორ სართულიან საწარმოო-სასაწყობე შენობას, რისთვისაც დამუშავებულია სათანადო პროექტი. საპროექტო შენობა გეგმაში რთული მოხაზულობისაა,გადაწყვეტილია მონოლითური რკინაბეტონის ჩარჩოვან ვარიანტში. ჩარჩოს სვეტების განივი კვეთებია b×h=40×40სმ. რიგელების b×h=40×50სმ. სართულშუა გადახურვების ფილის სისქე შეადგენს δ=16სმ. შენობა ეყრდნობა მონოლითური რკინაბეტონის წერტილოვან საძირკვლებს ძირის ზომებით l×b=200×200სმ. საძირკვლები დაფუძნებულია თიხნარებზე, რომელთა ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები, ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნის მიხედვით შემდეგია:

სიმკვრივე	ρ=1.80ტ/მ^3.
შიდა ხახუნის კუთხე	φ=18^0.
ხვედრითი შეჭიდულობა	c=0.38კგძ/სმ^2.
პირობითი საანგარიშო წინაღობა	R$_0$=2.50კგძ/სმ^2.

დეფორმაციის მოდული E=102კგძ/სმ^2.
დენადობა I_L=0.09

საპროექტო შენობას აღმოსავლეთიდან ესაზღვრება ორ სართულიანი მონოლითური რკინაბეტონის კარკასული შენობა, რომელიც შევსებულია ერთი სართულის ფარგლებში საძირკვლის მთლიანკვეთიანი ბლოკებით, ხოლო მეორე სართულის ფარგლებში წვრილი საკედლე ბლოკით. სამხრეთიდან საპროექტო შენობას ესაზღვრება ერთ სართულიანი აგურის კედლებით ნაშენი მსუბუქი ნაგებობა. დასავლეთის მხრიდან ერთ სართულიანი დამხმარე ნაგებობა. საპროექტო შენობას არ გააჩნია სარდაფი, არ ხდება ქვაბულის მოწყობა, რაც ხშირ შემთხვევაში საჭიროებს გამაგრებით სამუშაოებს.

საკითხის შესახებ შ.პ.ს.”მონოლითი” გაცნობებთ, რომ დამუშავებული პროექტის მიხედვით ჩატარებული სამშენებლო სამუშაოები არ გამოიწვევს უარყოფით ტექნიკურ ზეგავლენას ირგვლივ მდებარე შენობა-ნაგებობებისათვის.

შ.პ.ს. ”მონოლითი”-ს დირექტორი. /გ. იაშვილი/

მთავარი ინჟინერი. /მ. საველიძე/